საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 ნოემბერი, 2017 წელი

დადგენილება № 04-01/11

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1.სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ)ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;“

გ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

დ) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ)სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;“

ე) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.7 ქვეპუნქტი:

„1.7 აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოიწვიოს უნივერსიტეტის პარტნიორები, დამსაქმებლები და საზოგადოების წარმომადგენლები.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე.მესხია**